ოქმი N 17

ხობის მუნიციპალიტეტის მეხუთე მოწვევის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის სხდომისა

ქ. ხობი

6 სექტემბერი 2023 წელი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. მედეა თათარიშვილი
2. აკაკი ხურცილავა
3. მაკა ჩარტია
4. გივი ლატარია
5. ლელა ადანაია
6. მზია ლემონჯარია
7. გოჩა ქაჯაია
8. ია ჯიშკარიანი
9. ნინო ბოკუჩავა

სხდომას თავმჯდომარეობდა მედეა თათარიშვილი - კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2023 წლის 2 აგვისტოს N50-502321427 წერილის განხილვა (ინფორმაცია ხობის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის იანვარ - ივნისის შესრულების შედეგების შესახებ);

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე);

2. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2023 წლის 29 აგვისტოს N50-502324127 წერილის განხილვა:

- „ხობის მუნიციპალიტეტში განათლების ხელშეწყობის 2023 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის №39 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" განკარგულების პროექტის შესახებ;
- „ხობის მუნიციპალიტეტში სპორტის ხელშეწყობისა და განვითარების 2023 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის №41 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" განკარგულების პროექტის შესახებ;

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე);

3. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2023 წლის 31 აგვისტოს N50-502324327 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე " დადგენილების პროექტის შესახებ);

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე);

4. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2023 წლის 31 აგვისტოს N50-502324385 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის 2023 წლის მუნიციპალური პროგრამის" დამტკიცების შესახებ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N44 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" განკარგულების პროექტის შესახებ);

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე);

5. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2023 წლის 4 სექტემბრის N50-502324751 წერილის განხილვა:

- „ხობის მუნიციპალიტეტის ახალი ხიბულის ადმინისტრაციული ერთეულის შემადგენლობაში შემავალი სოფლების: სოფელი გამფერდი, სოფელი ზუბი და სოფელი ახალი ხიბულის უსახელო ქუჩების სახელდების შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე;
- „ხობის მუნიციპალიტეტის ბიის ადმინისტრაციული ერთეულის შემადგენლობაში შემავალი სოფლების: სოფელი ბია, სოფელი ბია-საშონიო და სოფელი ზემო ბიას უსახელო ქუჩების სახელდების შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე;
- „ხობის მუნიციპალიტეტის ქვემო ქვალონის ადმინისტრაციული ერთეულის შემადგენლობაში შემავალი სოფლების: ბულიშის, გიმოზგონჯილისა და დურღენას უსახელო ქუჩების სახელდების შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე;
- „ხობის მუნიციპალიტეტის ქარიატის ადმინისტრაციული ერთეულის შემადგენლობაში შემავალი სოფლების: გამოღმა ქარიატა და გაღმა ქარიატა უსახელო ქუჩების სახელდების შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე;
- „ხობის მუნიციპალიტეტის შუა ქვალონის ადმინისტრაციული ერთეულის შემადგენლობაში შემავალი სოფლების: გვიმარონისა და ჭითაუშქურის უსახელო ქუჩების სახელდების შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე;
- „ხობის მუნიციპალიტეტის ნოჯიხევის ადმინისტრაციული ერთეულის შემადგენლობაში შემავალი სოფლების: სოფელი დასახლება, სოფელი ნოჯიხევი, სოფელი ზენი, სოფელი კუთხე ნოჯიხევი და სოფელი ნაფოშტუს უსახელო ქუჩების სახელდების შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე;
- „ხობის მუნიციპალიტეტის თორსა - დღვაბის ადმინისტრაციული ერთეულის შემადგენლობაში შემავალი სოფლების: სოფელი თორსა, და სოფელი საბუკიოს უსახელო ქუჩების სახელდების შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე;
- „ხობის მუნიციპალიტეტის ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეულის შემადგენლობაში შემავალი სოფლების: საჭოჭუო, საბაჟო, საღვამიჩაო და საქორქიოში უსახელო ქუჩების სახელდების შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე;

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე);

6. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2023 წლის 4 სექტემბრის N50-502324791 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე;

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე);

7. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2023 წლის 4 სექტემბრის N50-5023247122 წერილის განხილვა („საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2023-2024 წლებში დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე);

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე);

8. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2023 წლის 5 სექტემბრის N50-502324857 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის თაობაზე).

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე).

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9, წინააღმდეგი - არც ერთი.
დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე კომისიის თავმჯდომარე შემოვიდა წინადადებით, კომისიის მიერ არსებითად განსახილველი მერვე საკითხი განხილულ იქნეს პირველ საკითხად, კომისიის წევრები ერთხმად დაეთანხმნენ წარმოდგენილ წინადადებას

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2023 წლის 5 სექტემბრის N50-502324857 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის თაობაზე).

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე).

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - მომხსენებელმა კომისიის წევრებს განუცხადა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის განმარტებით, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო დაგეგმვის განყოფილებაში არსებული პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანსია გადატანილია

საფინანსო ზედამხედველობისა და ბუღალტერიის განყოფილებაში. ხოლო საბიუჯეტო დაგეგმვის განყოფილებაში არსებული ვაკანტური საშტატო ერთეული უქმდება. დადგენილების პროექტით არ იცვლება მერიის საშტატო ნუსხის რიცხოვნობა და არ დგება ადგილობრივ ბიუჯეტში დამატებითი თანხების გათვალისწინების საჭიროება.

განხორციელებული ცვლილების შესაბამისად ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხაში ასახვის მიზნით მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ ყოფილა
კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9 ; **წინააღმდეგი:** არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი: „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე", კომისიის დასკვნასთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარე შემოვიდა წინადადებით დღის წესრიგით გათვალისწინებული სხვა საკითხები შეტანილ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი საკითხების ბიუროს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9 , **წინააღმდეგი** - არც ერთი.

დადგინდეს: წარმოდგენილი საკითხები შეტანილ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე მ. თათარიშვილი მედეა თათარიშვილი